Sermon 16.05.2021- (georgian)

შიში და მისი დაძლევა

დღეს ჩვენი ეკლესთია მენელსაცხებლე დედებთან ერთად იხსენებს წმინდა იოსებსა და ნიკოდომოსს, რომლებმაც იზრუნეს გარდაცვლილი ქრისტეს ჯვრიდან ჩამოხსნასა და მის დაფლვაზე, ამ წესის აგებისათვის საჭირო გამომდინარე ყველა ჩვეულების დაცვით.

იოსები წარმოშობით იყო იუდეის არიმათიდაან და სინედრიონის წევრიც იყო (მარკ.15,43). ლუკა მახარობელი მას აღწერს როგორც კეთილ და მართალ ადამიანს (ლუკა 25,30). მათე გვამცნებს მისი სიმდიდრის შესახებ (მათე 27,57). იოსები აგრეთვე ქრისტეს მოწაფეც იყო (მათე 27,57). მაგრამ ამას იუდეველებისადმი შიშის გამო საიდუმლოდ ინახავდა (ინ. 19,39). მიუხედავად ამისა, იესოს ჯვარზე გაკვრის შემდეგ იოსები პოულობს თავის თავში გამბედაობასა და ძალას და მიმართავს პილატეს თხოვნით ჩამოხსნას ჯვრიდან იესო და დაკრძალოს (მარკ. 15,43). დაფლვის წესის აგების ჩასატარებლად მას ნიკოდომოსი ეხმარება, რომელიც აგრეთვე სინედრიონის წევრი იყო (იოანე 7,50). ნიკოდომოსი ფარისეველი იყო, იუდეის უფროსი და ისრაელის მასწავლებელი (ინ. 3,1). იგი მდიდარი ადამიანი იყო, ჰქონდა გავლენა საზოგადოებაზე თავის დროზე ნიკოდომოსი იცავდა სინეტრიონზე იესოს, რომლებსაც მისი დასჯა უნდოდათ (ინ. 7,50-52). იოანე მახარებელი მოგვითხრობს, რომ ერთხელ ღამით ჩუმად შეხვდა ნიკოდომოსი იესოს და მისგან შეიტყო სულიერი დაბადების აუცილებლობის შესახებ ნათლობის მიღების გზით. მაგრამ ნიკოდომოსმა იოსების მსგავსად და მსგავსი მიზეზების გამო არჩია ქრისტეს ფარულ მოწაფედ დარჩენა და მხოლოდ იესოს ჯვარზე გაკვრის შემდეგ, მათ იოსებთან ერთად აღარ დამალეს თავიანთი რწმება და იჩქარეს მისი სხეულისათვის ნელსაცხებლები ეცხოთ, როგორც ამას დაკრძალვის ჩვეულება მოითხოვდა.

იესოს სიცოცხლეში იუდეველებისადმი შიში მოციქულებისათვის იყო თანმხლები პირობა. არა მარტო იოსები და ნიკოდომოსი, რომლებიც იუდეველი მართველები იყვნენ, რჩებოდნენ ქრისტეს ფარულ მოწაფეებად. როგორც გვამცნობს მახარებელი იოანე, ,,ხოლო..... მთავართაგანთაცა მრავალთა ჰრწმენა მისა მიმართ, არამედ ფარისეველთათვის ვერ აღი-არეს, რათა არა კრებულისაგან განახხნენ. რამეთუ შეიყვარეს დიდება კაცთა უფროს, ვიდრე დიდება ღმრთისა" (ინ.12,42-43). მაგრამ უბრალო ადამიანებისაგან ,,არავინ განცხადებულად იტყოდა მისთვის შიშისათვის ჰურიათასა" (ინ. 7,13).

ასეთი შიში ფენომენი სხვადასხვა გამოვლენებით დღევანდელ დღესაც არსებობს ქრისტიანთა შორის. განსაკუთრებით ახალგაზრდებში იმყოფებიან რა ,,მოწინავე" ადამიანების საზოგადოებაში, რომლებიც უარყოფენ სახარების მუდმივ ჭეშმარიტებას, სთვლიან რა მოძველებულად, ქრისტიანს შეიძლება შერცხვეს და თუ ის არ ეთანხმება იმას, რაც საწინააღმდეგოა მისი პრინციპებისა, მას ეძნელება უარყოს, რადგან გარშემომყოფები ჩათვლიან მას ,,ჩამორჩენილად" და ,,არათანამედროვედ." ბევრ ადამიანს ეუფლება შიში იმის გაფიქრებაზეც კი, რომ საზოგადოება ჩათვლის მათ უმეცარებად მათი ქრისტიანული იდეების და მორალური პრინციპების გამო. ისინი ვერ უძლებენ სხვების დაცინვას, რის

შედეგადაც ნებდებიან, ზიანს აყენებენ თავიანთ ცხოვრებას. იწყებენ მიბაძვას იმ ადამიანების ცხოვრებისა და ქცევებზე, რომლებსაც არ გააჩნიათ მორალურ-ზნეობრივი პრინციპები. თავიდან ისინი გრძნობენ სინდისის ქენჯნას: რადგან მათი საქციელი საწინააღმდეგოა ქრისტიანული იდეების მიმართ. მაგრამ თანდათანობით სინდისის ხმა ახშობს არგუნენტი: ახლა ყველა ასე ცხოვრობს, არ შეიძლება რომ გამონაკლისი იყო სხვა დროა! ახალი ტრადიციებია. ჩვენ ისე ვერ ვიცხოვრებთ, როგორც ჩვენი ბებიები ცხოვრობდნენ. ყველა ამ მიზეზით ადამიანები ცდილობენ გაამართლონ ქრისტიანული საგანძურისაგან განდგომა და ეს იწვევს საშიშ შედეგებს.

ღვთივშეგონებული მოციქული პავლე მოგვიწოდევს: „ნუ თანა-ხატ ექმნებით სოფელსა ამას, არამედ შეიცვალენით განახლებითა მით გონებისა თქუენისათა, რათა გამოცადოთ თქუენ, რა-იგი არს ნება ღმრთისა: კეთილი, სათნო და სრული" (რომ.12,2).

ღვთივგანათლებულებს, ჩვენ შეგვეძლო თვალი აგვეხილა სხვა ადამიანებისათვის და დავხმარებოდით მათ იმის გაგებაში, რომ ის, რასაც ისინი სთვლიან პროგრესულად, თანამედროვედ და ახალ იდეებად, სინამდვილეში ახალს არაფერს წარმოადგენს ასე ცხოვრობდნენ ადამიანები ქრისტეს მოსვლამდე, რომელიც ნამდვილად ასწავლიდა ჭეშმარიტებას და ახალი ცხოვრებისაკენ მიმავალ გზას აჩვენებდა. ვნებები, რომლებითაც თანამედროვე ადამიანი შთანთქმულია, მეფობდნენ მოციქული პავლეს დროსაც იგი ჩამოთვის და ამხელს მათ თავის რომაელებთან მიმართვაში (რომ. 1,21-32). არ ჩავთვალოთ, ჩვენ ქრისტიანმა ადამიანებმა, პროგრესულად იმ ხალხის შეხედულებები, რომლებიც ღმერთისგან შორს არიან ეს ხომ სინამდვილეში-რეგრესია არ გავხდეთ საერთაშორისო საინფორმაციო ცენტრების მსხვერპლნი, რომლებიც მოგვიწოდებენ დავივიწყოთ სახარებისეული ფასეულებები. ჩვენ ვხედავთ, სადამდე მიიყვანა ამან ჩვენი საზოგადოება ვინ არის ახლანდელ სიტუაციაში მისით კმაყოფილი?

იმის მაგივრად, რომ გვეშინოდეს ვიყოთ გარიყულები, ქრისტიანული იდეების გამო, საზოგადოებისგან, თითოეულმა ქრისტიანებმა უნდა გამოიჩინოს თავისი ყოფნა ქმედებებითა და ცხოვრების სახით. ხალხი დეზორინტირებულია და საჭიროებენ სული წმინდისაგან განათლებას. მორალის დაცემა, ფესვგადგმულს ჩვენს საზოგადოებაში, შეუძლია აღმოფხვრას მხოლოდ „მარილმა ქვეყნისანმა" (მათე 5,13) -ჭეშმარიტმა. ქრისტიანებმა სამწუხაროა ვუყუროთ, როგორ კარგავენ დღეს ქრისტიანები თავიანთ „მარილიანობას" და არ შეუძლიათ დაიცვან საზოგადოება პროგრესირებადი ხრწნისაგან.

დაე, ყოველთვის გვესმოდეს მოციქულ პავლეს სიტყვები, რომელმაც პირველმა ქრისტეს სახარება მოიტანა მცირე აზიასა და ევროპაში: „არა მომცა ჩუენ ღმერთმა სული მოშიშებისა, არამედ ძლიერებისა და სიყუარულისა და სიწმინდისა (მე-2-ე ტიმ.1,7). და აგრეთვე თავად ჩვენი უფლისა: „სოფელსა ამას ჭირი გაქუს, არამედ ნუ გეშინინ, რამეთუ მე მიძლევიეს სოფელსა" (ინ. 16,33)